ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ტრისტან ჯინჭარაძის 2015 წლის ანგარიშს.

საკრებულოს წევრი ტრისტან ჯინჭარაძე

5

02.11.15

№10/18487

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ტრისტან ჯინჭარაძის ანგარიში

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

2015 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 სხდომა. საკრებულოს მიერ მიღებული იქნა 101 დადგენილება და 380 განკარგულება.

მონაწილეობის მიღება:

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22 სხდომა;
- ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 28 სხდომა, შესწავლილი - 200 საკითხი;
- სარევიზიო კომისიის 13 სხდომა;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - რესპუბლიკელების" 12 სხდომა; შესწავლილი საკითხები:

1. ფრაქციის „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების" მოსაზრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის წესში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით;

2. თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკარო პირების შესახებ საკანონმდებლო რეგულაციები და რეალური პრაქტიკული მდგომარეობა;

3. 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაზიანებული სახლების მაცხოვრებელთა ბინის ქირის საერთო რაოდენობა;
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან შეხვედრის საკითხების განხილვა;

5. საკრებულოს სხდომაზე განსახილველი მიმდინარე საკითხები;

6. 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
7. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების დაკანონება, სხვა ალტერნატიული საცხოვრებლის არმქონე ფაქტობრივი მფლობელებისა და მოსარგებლეებისათვის;
8. თვითმმართველობაში ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო ცენტრის ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ;
9. ეკოლოგიური დაბინძურება დედაქალაქში;
10. პირველადი ჯანდაცვის ტერიტორიულ ხელმისაწვდომობა;

11. ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემები, გადაჭრის გზები, გრძელვადიანი განვითარების ხედვა;
12. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის გიორგი გაგოშიძის ანგარიში ქალაქში დღესარსებული სატრანსპორტოს პრობლემების შესახებ;
13. 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა კომპენსაციის წესის სამუშაო ვერსიის განხილვა;
14. სოციალური საცხოვრისების კონცეფცია (საერთაშორისო პრაქტიკა);
15. 30 ივნისის საკრებულოს სხდომის საკითხების შეჯამება;
16. 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრებელი სახლითა და სხვა კომპენსაციით უზრუნველყოფის წესის განხილვა;

17. საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის ინიცირება მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ;
18. სამუშაო შეხვედრა ურბანისტებთან;
19. საბურთალოს გამგეობის მიერ შესრულებული ანგარიშის მოსმენა;
20. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის ლევან თევზაიას ანგარიშის მოსმენა.

- **საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია**

  ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ მიერ ინიცირებული საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

- **ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია**

  თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“ მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფება მოქალაქეებთან. მიმდინარე 2015 წლის მანძილზე ფრაქცია აქტიურად ახორციელებდა მოქალაქეებთან შეხვედრებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოში მათ მიღებას, წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით გასაუბრებას და კონსულტაციებს.

  მოქალაქეთა განცხადებებთან მიმართებით, ფრაქცია სხვადასხვა შუამდგომლობებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოებს, თვითმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებსა და სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

- **საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია:**
  თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;
  თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური;
  თბილისის სატრანსპორტო კომპანია;
  თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური;
  თბილისის მერიის რაიონული გამგეობები;
  ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტო.

საკრებულოს წევრი ტრისტან ჯინჭარაძე